**ირინა არაბიძე**

*ისტორიის დოქტორი, თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი*

# სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის მოდელის ძიება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921) სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა მრავალმხრივი განხილვის საგანს წარმოადგენდა. მასალა მრავლადაა დაცული საპატრიარქოსა და სხვა არქივების ფონდებში, იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში. სეკულარიზაციისა და მასთან დაკავშირებული რეფორმების ფონზე სახელმწიფო ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის დაპირისპირება არცთუ იშვიათი მოვლენა იყო.

სეკულარიზმი დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ორგანული ნაწილია. მისი არსი მდგომარეობს სახელმწიფოსა და რელიგიის ინსტიტუციური და იდეოლოგიური განცალკევების, მთავრობისა და სამართლის წყაროების რელიგიური დოგმებისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირების აუცილებლობაში. იგი გამორიცხავს სახელმწიფოს მიერ რომელიმე კონფესიის პრივილეგირების ან რომელიმე რელიგიის სახელით მოქმედების შესაძლებლობას. ეს განცალკევება არ არის რელიგიის საწინააღმდეგო ნაბიჯი; პირიქით, ის მიზნად ისახავს რელიგიური თავისუფლების მინიჭებას, პლურალიზმის უზრუნველყოფას და რწმენის სფეროს დაცვას პოლიტიზებისაგან. სეკულარიზმი ქმნის პირობებს, სადაც საჯარო ხელისუფლება ნეიტრალურია, ხოლო ინდივიდი – თავისუფალი [1, 190; 2, 109-110].

თითქმის სამწლიანი დამოუკიდებლობის მანძილზე საქართველოში შესაბამისი სამთავრობო უწყებების მიზანს დემოკრატიული, სეკულარული წყობის მშენებლობა წარმოადგენდა. ეს კი გულისხმობდა რელიგიისაგან პოლიტიკური და საგანმანათლებლო სივრცის განთავისუფლებასა და ამ პროცესის სამართლებრივ რეგულირებას. ეკლესია სეკულარიზაციას თავისი ავტორიტეტისა და სოციალური როლის შესუსტების მცდელობად აღიქვამდა; ცდილობდა, სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფის ისეთი მოდელის შემუშავებას, რომელიც მისი ისტორიული უფლებების დაცვას უზრუნველყოფდა.

სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დავა მიმდინარეობდა საერო სასწავლო დაწესებულებებში საღვთო სჯულის სწავლების, მიწების, შენობა-ნაგებობათა კუთვნილების, ისტორიული და სულიერი მემკვიდრეობის საგანძურის მოვლა-პატრონობის, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისა და სხვ. საკითხებთან დაკავშირებით. საარქივო მასალები ურთიერთდაპირისპირების გარდა საერო ხელისუფალთა მხრიდან ეკლესიის კულტურული და ისტორიული მნიშვნელობის გათვალისწინებაზეც მიუთითებენ. აღნიშნული პერიოდი სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ერთგვარი გარდამავალი ეტაპი იყო, საბოლოო გამიჯვნა ვერ მოესწრო ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიიდან გამომდინარე.

ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის მომავალი ურთიერთობის ასპექტებზე ეკლესიის მმართველ ორგანოებში მსჯელობიდან, სასულიერო პირთა ოფიციალური წერილებიდან თუ მემუარებიდან ჩანს, რომ მათ წარმომადგენლებს განცალკევების საჭიროება შეგნებული ჰქონდათ. ამას ჯერ კიდევ 1906 წელს შემუშავებული პროექტიც მოწმობს. თუმცა მაშინ გამოყოფის საჭიროებას საკუთარი სახელმწიფოს უქონლობა, რუსეთის უღელქვეშ ყოფნა განაპირობებდა. 1918 წლიდან მდგომარეობა შეიცვალა და, თუნდაც ურწმუნო სოციალისტი ხელისუფლების პირობებში, ღვთისმსახურთა უმრავლესობა სახელმწიფოსაგან ეკლესიის

გამოყოფას აუცილებლობად აღარ მიიჩნევდა. მით უმეტეს, რომ ქვეყანაში არსებული საერთო გაჭირვების ფონზე მორწმუნეებს სამღვდელოების რჩენა არ შეეძლოთ.

სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის წინააღმდეგ გამომსვლელნი ისტორიული წარსულისა და თანამედროვეობის მაგალითებზე დაყრდნობით, ქვეყნის ერთიანობისა და საზოგადოების ზნეობრივად ამაღლებისათვის ეკლესიის მნიშვნელობაზე მიუთითებდნენ: „ეკლესია არ უნდა იქნეს განცალკევებული სახელმწიფოსაგან... ის წარმოადგენს ფასდაუდებელ ინტერესს მთელი სახელმწიფო ერთიანობისას. ეკლესია წარმოადგენს არა კერძო ინსტიტუტს, არამედ ინსტიტუტს საზოგადო უფლებრივი ხასიათისას. ეკლესიას უნდა ეჭიროს სახელმწიფოში განსაკუთრებული მდგომარეობა, უნდა იყოს შეერთებული სახელმწიფოსთან და არა განცალკევებული. წარსული ისტორია, დასავლეთის მაგალითი და ეკლესიის კანონები წინააღმდეგნი არიან ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევებისა. სახელმწიფო ქმნის საზოგადოებრივ ცხოვრებას, ეკლესია კი ზნეობრივად ამაღლებს მას..." [3, 30; 4, 153; 5, 290-291].

საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიისათვის წარდგენილი რაჟდენ არსენიძის პროექტი რადიკალური სეკულარიზაციის წინააღმდეგი იყო, გიორგი ნანეიშვილისა კი – უფრო მკაცრ, ფრანგულ მოდელს უჭერდა მხარს.

საქართველოს ეკლესია და პატრიარქი ლეონიდი აუცილებლობის შემთხვევაში სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფას განიხილავდნენ, მაგრამ ეწინააღმდეგებოდნენ სეკულარიზმის ფრანგულ ვარიანტს, რომელიც სოციალ-დემოკრატების უმრავლესობაში უფრო პოპულარული იყო და, რომელიც დამტკიცდა კიდეც [6, 38].

1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით დაკანონდა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფა. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობები ცალკე თავით მოწესრიგდა. მკაცრად განისაზღვრა მოქალაქეთა რელიგიური თავისუფლებისა და თანასწორობის

პრინციპები, აიკრძალა ნებისმიერი სარწმუნოების პრივილეგირება და რელიგიური მიზნებისთვის ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფა [7, 94]. ეკლესიისთვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭება-ჩამორთმევაზე ძირითად დოკუმენტში არაფერია ნათქვამი.

სტატიის მიზანია სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის პროცესის კვლევის გაღრმავება. ერთი მხრივ, გამოკვეთა სეკულარული სახელმწიფოს იმ მოდელისა, რომლის შექმნას გეგმავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა; მეორე მხრივ, ჩვენება, როგორ ესახებოდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სახელმწიფოსთან მომავალი ურთიერთობა; რა ასპექტები იყო მიუღებელი მისთვის და რა მოთხოვნებს აყენებდა საერო ხელისუფლების წინაშე.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგვაროვანია შეფასებები საკითხზე, ხელისუფლების მიერ ეკლესიის მიმართ გატარებული თუ განზრახული ღონისძიებები სეკულარიზაციის მოთხოვნებით იყო განპირობებული, თუ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიულად ცნობილი ძლიერებისა და ავტორიტეტის დამცრობას ემსახურებოდა (საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტი რუსეთის ეკლესიისა და სახელმწიფოს დაქვემდებარებაში საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ყოფნით შელახული ნამდვილად იყო). საქართველოში მიმდინარე ეკლესიასთან დაკავშირებული რეფორმების განხილვის ფონზე ყურადღებას სწორედ ზემო აღნიშნულ საკითხებზე გავამახვილებ.

I. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განმტკიცების პროცესში განათლების სფეროს გარდაქმნა იყო მიჩნეული. რეფორმა მიზნად ისახავდა საერო, საყოველთაო, უფასო და სავალდებულო სწავლების სისტემის დანერგვას. რეფორმის განხორციელება სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაში წინააღმდეგობებთან იყო დაკავშირებული [4, 146]. დემოკრატიული საქართველოს მესვეურებმა გააგრძელეს რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ ამ მიმართულებით აღებული კურსი.

კერძოდ, 1917 წლის 1 ივნისს უკვე გამოცემული იყო დადგენილება ყველა საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლის სახალხო განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლის შესახებ.

დამოუკიდებლობის პირობებში ხელისუფლებამ პირველი ნაბიჯი 1918 წლის ნოემბერში სკოლებში საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებით გადადგა. 1918 წ. 26 ნოემბერს კანონი ძალაში შევიდა: საღვთო სჯულის სავალდებულო გაკვეთილები ამოიღეს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სკოლების პროგრამიდან;

გაუქმდა საგნის მასწავლებელთა შტატები და ბიუჯეტიდან მათთვის გამოყოფილი თანხები;

სასწავლებლებში აიკრძალა რელიგიური რიტუალები;

მშობლებს მიეცათ უფლება, შვილებისთვის საგნის სწავლება სკოლის შენობაში, სასწავლო პროცესისისგან თავისუფალ დროს საკუთარი ხარჯით უზრუნველეყოთ.

მუსლიმურ სკოლებში შარიათის სწავლება დარჩა სახელმწიფო დაფინანსებით.

განათლების რეფორმის მეორე ნაწილი, რომელიც ეკლესიას შეეხო, იყო სასულიერო პირების განდევნა სკოლებიდან. 1918 წლის შემოდგომაზე ისინი განათლების სამინისტროდან ჯერ კიდევ ინიშნებოდნენ მასწავლებლებად. ამ დროისათვის ეკლესიის მესვეურთა საზრუნავს შეადგენდა, განათლების საქმე და ეკლესიის ავტორიტეტი თანამდებობისთვის შეუფერებელი სასულიერო პირების დანიშვნით არ დაზარალებულიყო. კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე ლეონიდი (1918-1919, ოქროპირიძე) განათლების სამინისტროსაგან ითხოვდა, გაეცათ განკარგულება, რომ სჯულის მასწავლებლები მისი თანხმობით დანიშნულიყვნენ, რადგან სასულიერო უწყებას ყოველი თავისი წევრის შესახებ ჰქონდა უტყუარი ინფორმაცია [8, 1]. თუმცა ვითარების ცვლილებას – 1918-1920 წლების მანძილზე მღვდლებისათვის სკოლებში ადგილის მიცემაზე უარს – ბევრი საარქივო დოკუმენტი ადასტურებს.

განათლების ადგილობრივი ორგანოები თუ ერობის გამგეობები ხშირად აღარ ერიდებოდნენ მასწავლებლად მიღებაზე მღვდლობის

გამო უარის თქმას, თუმცა ეს არაოფიციალურად ხდებოდა. თხოვნის დაკმაყოფილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აღუთქვამდნენ, თუ ისინი მრევლს თავს დაანებებდნენ ან ანაფორას გაიხდიდნენ. სრულიად საქართველოს II საეკლესიო კრებისადმი მიმართულ მღვდელ პარმენ ყიფშიძის განცხადებაში ვკითხულობთ: ადგილებზე ეკლესიის საქმეს ურწმუნო ადამიანები განაგებენ და „ისეთ ძალ-მომრეობას ეწევიან, რომელიც სრულიად არ შეეფერება თავისუფალ ქვეყნის ცხოვრებას და მის წეს-წყობილებას". სარწმუნოების დაუძინებელ მტერთაგან ეკლესია ფეხქვეშ ითელება. პიროვნების ხელშეუხებლობა და რწმენის თავისუფლება ფიქციად რჩება [9, 9-12].

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით გამოცხადებული ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობის მიუხედავად, ხშირად სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელები სარგებლობდნენ ყოფილი კავკასიის სასწავლო ოლქის კომისარიატის 1918 წ. 17 აპრილის განკარგულებით და სასულიერო პირებს, შესაფერი განათლების შემთხვევაშიც, შტატში ჩასმაზე უარს ეუბნებოდნენ. აღნიშნული განკარგულებით ღვთისმსახურები არ უნდა ყოფილიყვნენ დამტკიცებული ღვთისმეტყველების გარდა სხვა საგნების მასწავლებლებად, თუმცა წოდებრივი, სარწმუნოებრივი და ეროვნული შეზღუდვების გაუქმება რუსეთის დროებითი მთავრობის მიერაც იყო დეკლარირებული.

საკათოლიკოსო საბჭო მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას მოუწოდებდა, გაეცა განკარგულება, რომ 26 მაისის აქტის საფუძველზე, არ შეზღუდულიყო არავისი, და მ. შ. არც სასულიერო პირთა უფლებები, თუ ისინი თანამდებობის დასაკავებელ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ. ქართველი სასულიერო წოდება ყველა იმ უფლების დაბრუნებასაც მოითხოვდა, რომელიც რუსეთის იმპერიის მპყრობელობის დროს ჰქონდა ჩამორთმეული [9, 1-3]. კერძოდ, ეს იყო:

პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები – არჩევნებში მონაწილეობის, მოქალაქეობრივი უფლებების სრულად აღდგენა;

სოციალური უფლებები – ძირითადად, საკუთრების ფლობისა და განკარგვის უფლება;

პიროვნული ღირსება – სასულიერო წოდების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან ისეთი დამოკიდებულების აღკვეთა, რომელიც მათ მოქალაქეობრივ და ადამიანურ სტატუსს ამცირებდა;

თანასწორობა სხვა წოდებებთან – სასულიერო წოდება უნდა ყოფილიყო თავისუფალი და არა სახელმწიფო სამსახურში მყოფი კლასი, არ ყოფილიყო დაქვეითებულ მდგომარეობაში, უნდა ჰქონოდა ის ძირითადი უფლებები, რაც დანარჩენ მოქალაქეებს.

1918-1920 წწ. საარქივო მასალების მიხედვით დემოკრატიული რესპუბლიკის სამთავრობო უწყებები (იუსტიციის, შინაგან საქმეთა სამინისტროები) არაერთი მიმართვის პასუხად საკათოლიკოსო საბჭოს აცნობებდნენ, რომ მოქმედი კანონმდებლობით არც ერთი მოქალაქის უფლებები არ იყო შეზღუდული და ეს უფლებები სასულიერო პირებზეც ვრცელდებოდა. მეტიც, მათთვის ცნობილი არ იყო სამღვდლო პირისათვის სამსახურში მიღებაზე უარის თქმის შემთხვევა, თუ ის პირობებს აკმაყოფილებდა [9, 6, 7].

პატრიარქი საჯარო მოწოდებებით, ეროვნულ-დემოკრატები პარლამენტში გამოსვლებით, მრევლი შეკრებებზე მიღებული დადგენილებებით ღიად აკრიტიკებდნენ მთავრობის პოლიტიკას. ისინი განათლების პროგრამიდან საღვთო სჯულის ამოღებას ზნეობრივად ამაღლებული თაობების აღზრდისათვის საფრთხედ, ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისა და ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობისათვის დაბრკოლებად მიიჩნევდნენ. მეტიც, მთავრობის გადაწყვეტილებათა მოწინააღმდეგენი რეფორმას არა მხოლოდ ტრადიციული ღირებულებების რღვევის საწინდრად, არამედ ეკლესიისთვის საუკუნეობით დამკვიდრებული სოციალური და სულიერი როლის დაკნინებად აღიქვამდნენ; თანხმდებოდნენ საღვთო სჯულის სწავლების საათების შემცირებაზე, მაგრამ არა – მის სრულ ამოღებაზე. უნივერსიტეტში რელიგიის მეცნიერული შესწავლის აუცილებლობას თავად ივანე ჯავახიშვილი უსვამდა ხაზს. მაგრამ სახელმწიფოს პრინციპული გადაწყვეტილება ამით არ შეცვლილა. საზოგადოების რეაქცია ერთგვაროვანი, რა თქმა უნდა, არ იყო. მისი მეორე, შედარებით მცირე ნაწილი სასწავლო პროგრამიდან

საღვთო სჯულის ამოღებას მიესალმა, როგორც „სკოლის განთავისუფლებას", პროგრესისკენ გადადგმულ ნაბიჯს და მიმდინარე პროცესი ევროპული განვითარების აუცილებელ ეტაპად მიიჩნია. საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებამ საქართველოს ეკლესიას, ერთი მხრივ, დააკარგვინა ეროვნული აღმზრდელობითი ფუნქცია, ხოლო მეორე მხრივ, შეასუსტა მისი გავლენა განათლების სფეროსა და საზოგადოებაზე. რეფორმის შედეგი იყო ასევე დაპირისპირება სახელმწიფოსა და სასულიერო წრეებს შორის [4, 147-149; 9, 4; 10, 72, 76-77, 80].

სამღვდელოებამ მეტი სიმწვავით დაიწყო სამოძღვრო სკოლის დაარსების საკითხის განხილვა, რათა ეკლესიას განათლებული მოძღვრების ყოლის შესაძლებლობა მაინც არ შეზღუდვოდა. სამოძღვრო ინსტიტუტის პროექტებით უმეტესად გათვალისწინებული იყო 4-წლიანი სასწავლო პროგრამა, მასწავლებელთა ჯამაგირები ეკლესიებიდან შესული გადასახადით უნდა ანაზღაურებულიყო [11, 25v-26].

ამრიგად, საქართველოში სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის გარდამავალ ეტაპზე სახელმწიფო სეკულარიზაციის პოლიტიკა უპირისპირდებოდა ეკლესიის ისტორიულად არსებულ უფლებებს, საზოგადოების უმეტესი ნაწილის მისწრაფებას ეროვნული სახის შენარჩუნებისა და ტრადიციების დაცვისაკენ. ეკლესია თანამედროვე, ევროპული სახელმწიფოებრივი განვითარების პრინციპების დანერგვას არ ეწინააღმდეგებოდა. ამ ორ მოცემულობას შორის ბალანსის მომხრე იყო. თუმცა სახელმწიფოსაც არ გადაუდგამს რადიკალური ნაბიჯები, ეკლესიის განადგურება არ უცდია. მიუხედავად ამისა, მათ შორის დაძაბულობის არსებობა წყაროებითაა დადასტურებული.

II. სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფისაკენ მიმართული მეორე ნაბიჯი – მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების – დაბადება, ქორწინება, გარდაცვალება – რეგისტრაციის ეკლესიიდან სახელმწიფო ორგანოებში გადატანა ორ ეტაპად განხორციელდა:

1918 წლის დეკემბერში – მთავრობის დადგენილებებით დაიწყო

სახელმწიფო და თვითმმართველობათა ბიუროებში აღრიცხვაზე გადასვლა;

1920 წლის 3 დეკემბერს კი დასრულდა კოდიფიკაცია, მიიღეს კანონი „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ“ – შედეგად დაბადების, ქორწინებისა და გარდაცვალების რეგისტრაცია სახელმწიფო უწყებების კონტროლქვეშ გადავიდა. მოქალაქის სტატუსის განმსაზღვრელი საერო სამართალი გახდა. ჯვრისწერას მხოლოდ სულიერი მნიშვნელობა მიენიჭა, იურიდიულ ძალას ქორწინება მხოლოდ სამოქალაქო რეგისტრაციის შედეგად იძენდა. ეს სეკულარული სახელმწიფოს ერთ-ერთი მახასიათებელი იყო. სასულიერო წოდება ითხოვდა საერო სამართალში საეკლესიო ქორწინებისთვისაც მიენიჭებინათ მნიშვნელობა, მაგრამ უშედეგოდ.

III. მიწისა და სხვა ქონების სეკულარიზაცია (1919) – აგრარული რეფორმა და საეკლესიო მამულები სახელმწიფოსა და ეკლესიის განცალკევების ყველაზე მტკივნეული საკითხი იყო.

დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებს შეგნებული ჰქონდათ პროცესის სირთულე. მთავრობის ოფიციალური ორგანოს – გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის №1 წერდა: მიწის საკითხი „ეს ისეთი რთული, ისეთი ძნელი და დიდ-მნიშვნელოვანი საკითხია, რომლის სისწორით გადაჭრაზე-გარკვევაზე დამოკიდებულია ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობა, მისი მომავალი და კეთილდღეობა. ვაჭრობა-მრეწველობის ინდუსტრიის სახელმწიფოებში, სადაც კაპიტალმა სრულად დაიმორჩილა სოფლის მეურნეობა და მით სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებასაც თავისებური ხასიათი მისცა, მიწის საკითხსაც ისეთი დიდი და გადამჭრელი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც სამეურნეო სახელმწიფოებში, რომელთა მდგომარეობა, ბედი და შედარებითი კეთილდღეობა უმთავრესად მიწის საკითხის მოწესრიგებაზე და მეურნეობის აყვავებაზე არის დამოკიდებული. სათანადოდ მოწესრიგებული მიწის მფლობელობა ეს ის საძირკველია, ის ფუძეა, რომელზედაც დაყრდნობილია მთელი სახელმწიფოებრივი შენობა...

მიწის საკითხის სათანადოდ გადაჭრისათვის საჭიროა დიდი

სიფრთხილე, დიდი წინდახედულება, ათასჯერ გაზო[მვ]ის და ანონ-დაწონის შემდეგ მისი დროზე გადაჭრა“ [12, 3].

მიწისმფლობელობის საკითხის წარმატებით განხორციელებისათვის რეფორმის მესვეურებს არ აკმაყოფილებდათ მისი მეცნიერული შესწავლის დონე. მიწის ნაციონალიზაციასა და სოციალიზაციასთან შედარებით უპირატესობა მუნიციპალიზაციას ენიჭებოდა, როგორც უფრო პროგრესულ და ჩვენი ქვეყნის პირობებთან უფრო მორგებულ ზომას, მაგრამ მისი განხორციელება საკანონმდებლო ბაზის შემუშავების სირთულეებზე ბევრად იყო დამოკიდებული [12, 3].

1919 წლის 28 იანვრის აგრარული კანონით დადგინდა საეკლესიო მამულების – სათიბები, ვენახები, ტყეები, წისქვილები და სხვა – გადასვლა სახელმწიფო ფონდში გასანაწილებლად. კანონის განმარტების თანახმად სამღვდელოების შემოსავალს შეადგენდა ხელფასი ხაზინიდან და რელიგიური წესების შესრულების საფასური, ის მიწათმოქმედებით არ ირჩენდა თავს, საეკლესიო მიწა საზოგადოებრივ საკუთრებად უნდა ქცეულიყო.

სასულიერო წოდების მესვეურნი თავიანთ მოთხოვნას ეკლესია-მონასტრებისათვის განსაზღვრული ოდენობის მიწის დატოვების შესახებ ისტორიული ძეგლების დაცვის საჭიროებით ამყარებდნენ. ბერმონაზვნები, რომლებიც ამა თუ იმ მონასტრის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, მისი კუთვნილი მიწის დამუშავებით თავსაც ირჩენდნენ და ისტორიულ ძეგლებს განადგურებისაგან იცავდნენ. ძეგლებზე ზრუნვა სახელმწიფოს მოვალეობასაც შეადგენდა. თუ ხელისუფლება ეკლესია-მონასტრებს მიწას მთლიანად ჩამოართმევდა, ისტორიული ძეგლები პატრონის გარეშე დარჩებოდნენ. საკითხი ისე უნდა გადაწყვეტილიყო, რომ ეკლესიის მსახურნი კანონგარეშე არ დარჩენილიყვნენ. სასულიერო წოდების მხრიდან პროტესტის შედეგად 1919 წ. 20 მაისს გამოიცა დადგენილება, რომლის მიხედვითაც თუ სამონასტრო მიწა უკვე განაწილებული არ იყო, მისთვის სარგებლობაში და არა საკუთრებაში ნორმის ფარგლებში შეიძლებოდა დაეტოვებინათ იმდენი მიწა, რამდენის დამუშავებასაც ბერები თავისი შრომით შეძლებდნენ. თუ მონას-

ტრის კუთვნილი მიწა უკვე განაწილებული იყო, ის დაბრუნებას არ ექვემდებარებოდა [13, 153, 155, 158; 14, 264].

საარქივო დოკუმენტები მიუთითებენ ზოგიერთი ეკლესიისა თუ მონასტრისთვის მიწების დაბრუნების შესახებ, მაგრამ უმთავრესი პრინციპი – საკუთრების სეკულარიზაცია – უცვლელი დარჩა. სახელმწიფოს საკუთრებაში ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე გადავიდა არა მარტო მიწები, არამედ საეკლესიო სასწავლებელთა ქონებაც. თუმცა შესაბამისი სახელმწიფო უწყებების გადაწყვეტილებებით, სანამ საბოლოოდ გაირკვეოდა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა, ეკლესიის კუთვნილი შენობებითა და მათი გაქირავების შედეგად მიღებული თანხით ისევ ეკლესია სარგებლობდა [15, 680].

დემოკრატიული მთავრობის კურსის ლოიალობაზე მეტყველებს დამფუძნებელი კრების წევრ ლეო შენგელაიას მიერ ეკლესიის საჭიროებებისათვის ხაზინიდან გაღებული მილიონების შესახებ წარმოთქმული სიტყვები: „...ნუთუ ძნელი იყო ეკლესიის ჩამოშორება სახელმწიფოსგან. ეს ხომ უბრალო უფლებრივი რეფორმა არის, რომელიც დამყარებულია ძალთა განწყობილებაზე და ნუთუ სამღვდელოებას ისეთი ძალა ჰქონდა, რომ ვერ შესძლეს ეკლესიის გამოყოფა?“ [16].

ეს მაშინ, როცა უკვე არსებობდა მაგალითი რუსეთში ბოლშევიკების მიერ განხორციელებული რადიკალური რეფორმისა. მათ მიერ 1918 წლის 23 იანვარს გამოცემული დეკრეტით ეკლესიას აღარ ჰქონდა იურიდიული პირის სტატუსი, არ შეეძლო ქონების ფლობა. იქ უკვე აკრძალული იყო რელიგიის სწავლება საჯარო და კერძო სკოლებშიც.

თუმცა, ფაქტი იყო, რომ დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლებამ მიწების განაწილებისას ეკლესია მიწის კერძო მფლობელებთან არ გაათანაბრა, ხაზინიდან ისედაც ძალიან მცირე თანხების გადარიცხვის შეწყვეტის შემდეგ ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობა სასულიერო წოდების ნებაზე დამოკიდებული გახდებოდა.

საყურადღებოა, რომ დაპირისპირების პროცესში სახელმწიფოსაც და ეკლესიასაც თავიანთი მოსაზრებები ქვეყნის წარმატებული მომავლის მისაღწევის საშუალებად მიაჩნდათ, საკუთარი სიმართლის სჯეროდათ [5, 300].

IV. მთავრობის მიერ განხორციელებული შეზღუდვები საეკლესიო დღესასწაულებსაც შეეხო. 1919 წ. 17 ივნისს დამფუძნებელმა კრებამ მათი უქმობა 8 დღით შეამცირა. კერძოდ: მირქმა, დიდი პარასკევი, აღდგომის მესამე დღე, სულწმინდის ორშაბათი, ფერისცვალება, ღვთისმშობლის მიძინება, ჯვართამაღლება, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება. მიზეზად ახალგაზრდა დემოკრატიული სახელმწიფოსთვის შრომის დიდი მნიშვნელობა და ევროპულ სამუშაო რიტმთან მისადაგების საჭიროება დასახელდა.

V. ისტორიული ნივთების, ხელნაწერების მუზეუმებში გადატანა და მათი ექსპორტის აკრძალვა 1920 წლის 28 მაისის დეკრეტით უნდა მომხდარიყო. არალიტურგიკული ხასიათის საგანძური სახელმწიფო მუზეუმის დაცვას, კონტროლსა და აღრიცხვას უნდა დაქვემდებარებოდა.

კანონის მიღებამდე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საკითხთან დაკავშირებით შემდეგი ვითარება იყო: მრავალ მონასტერსა და ეკლესიაში საგანძური დაუცველ მდგომარეობაში იმყოფებოდა. საფრთხე ემუქრებოდა ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას.

ეკლესიის პოზიცია ორად გაიყო, ერთი მხრივ, სიწმინდის ადგილად ეკლესია მოიაზრებოდა; მეორე მხრივ, საგანძურის ფიზიკური გადარჩენისთვის მუზეუმი ხშირად დაცვის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა (მით უფრო, აგრარული რეფორმის ფონზე, როცა მონასტრებს უმეთვალყურეოდ დარჩენა ემუქრებოდა).

ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და პარლამენტის წევრი, მეცნიერი და ერის გულშემატკივარი სხვადასხვა დონეზე გამოთქვამდა თავის მოსაზრებას, რომ საგნები, რომლებსაც უშუალოდ რელიგიური დანიშნულება არ ჰქონდა: ხელნაწერები, ნაქარგები, ძველი ქსოვილები, გადატანილიყო მუზეუმებში, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მათი მეცნიერული შესწავლა და ფიზიკური დაცვა. ამასთან, იგი თვლიდა, რომ მიზანშეწონილი იყო ზოგიერთი მონასტრიდან, სადაც ბერები აღარ ცხოვრობდნენ, დროებით ძვირფასი ნივთების უფრო დაცულ მონასტრებში (მაგალითად, გელათში, ხობში) გადატანა.

1919 წლის 30 სექტემბერს საკათოლიკოსო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წარმომადგენლები, მიღებული დადგენილებით ხელნაწერი წიგნები, ნაქსოვ-ნაკერები და ძველი გარდამოხსნები უნდა გადატანილიყო თბილისის საეკლესიო მუზეუმში. თუმცა სრულიად საქართველოს II საეკლესიო კრებამ (1920 წ. ივნისი) მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ყველა საეკლესიო განძეულობა უნდა დარჩენილიყო ეკლესიებში [15, 1075; 17, 3]. ამით ეკლესია იცავდა საკუთრების ისტორიულად არსებულ უფლებას, თუმცა ძეგლების დაცვის საკითხი კვლავ მოუგვარებელი რჩებოდა.

სახელმწიფო, თავის მხრივ, ცდილობდა საკითხის ინსტიტუციური გზით მოწესრიგებას. საბიუჯეტო თანხები გადაიდო სახელმწიფო სამუზეუმო საბჭოს განკარგულებაში, რომლითაც შეკეთდა გელათის, ჭყონდიდის მონასტერთა ტაძრების სახურავები, კერძო მფლობელებისგან შეიძინეს არაერთი ხატი და საეკლესიო ნივთი, რომლებიც, შესაძლოა, სახელმწიფოდან გატანასაც კი გადაურჩა.

ძეგლების მოვლა-პატრონობის მიზნით დაარსდა დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისია;

მარტვილის, შიომღვიმის, გელათის მონასტრის წინამძღვრებს და კრებულებს მთავრობამ დაუნიშნა ჯამაგირი, როგორც აღნიშნული ისტორიული ძეგლების მცველებს [17, 3]. ეს საკმარისი არ იყო, მაგრამ გასათვალისწინებელი იყო ქვეყანაში არსებული უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა.

სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის 24-მუხლიანი კანონ-პროექტი 1920 წლის ოქტომბერში შემუშავდა. პროექტით სახელმწიფო მხარს უჭერდა: რელიგიური საზოგადოებების გათანაბრებას, რწმენის თავისუფლების დაცვას; ისტორიულ-მხატვრული ღირებულების ქონების სახელმწიფო მუზეუმში გადატანას საქართველოდან გატანის აკრძალვით;

რეგისტრაციის შემთხვევაში რელიგიურ თემებს სახელმწიფო ანიჭებდა იურიდიული პირის უფლებას; მათი მხრიდან ანგარიშ-

გება სახელმწიფოს წინაშე სავალდებულოდ გამოცხადდა; სასამართლოს შეეძლო რელიგიური გაერთიანების დახურვა, თუ ის სახელმწიფოსთვის საზიანო საქმიანობაში იქნებოდა შემჩნეული; სკოლაში საღვთო რჯულის სწავლებისთვის საათები მხოლოდ შტატგარეშედ იქნა დაშვებული [16].

პროექტის გამოქვეყნების შემდეგ კიდევ უფრო გახშირდა სასულიერო პირთა პროტესტი მთავრობის დადგენილებებისა თუ მათი აღსრულების წინააღმდეგ. მაგ. გელათის მონასტრიდან საეკლესიო ნივთების ძალმომრეობით წაღების შემდეგ თბილისის სამღვდელოებამ ხელისუფლებას მოსთხოვა დაუყოვნებლივ დაებრუნებინა მონასტრისთვის ქონება და გაეცა ბრძანება, რომ ასეთ ძალმომრეობას შემდეგში ადგილი აღარ ჰქონოდა. „ამ გვარი აქტი, როგორც ძალმომრეობითი, აყენებს ეკლესიას კანონის მფარველობის გარეშე დაუმსახურებლად,... უდრის საეკლესიო კრების და მთელი მორწმუნე ერის შეურაცხყოფას, ქმნის განხეთქილებას იმ დროს, როდესაც სოლიდარობაა საჭირო“ [11, 40].

ამავე წლის დეკემბერში თბილისის სამღვდელოებას ეცნობა, რომ საეკლესიო კანონებისა და საეკლესიო კრების დადგენილებათა თანახმად ეკლესიებში არსებული ძვირფასი ნივთები მღვდელმთავრის ნებართვის გარეშე არავისთვის დაეთმოთ [11, 41].

რომ შევაჯამოთ ეკლესია მოითხოვდა შემდეგს:

ეკლესიის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აღიარებას;

სასულიერო პირთა უფლებების გათანაბრებას ყველა მოქალაქის უფლებებთან, მათ მიღებას საერო დაწესებულებებში სამუშაოდ მხოლოდ შესაბამისი განათლებისა და პიროვნული ღირსებების გათვალისწინებით;

სკოლაში საღვთო სჯულის სწავლების აღდგენას;

ეკლესიის გათანაბრებას მიწის კერძო მფლობელებთან, მიწის ნორმის შენარჩუნებას მონასტრებისთვის, რაც ისტორიული ძეგლების მეთვალყურეობა-გადასარჩენისთვისაც იყო საჭირო და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ინტერესებსაც პასუხობდა;

სახელმწიფოს მხრიდან საეკლესიო ქონების (შენობა-ნაგებობანი, ავეჯი) გამოსყიდვას;

მუზეუმებში გადატანილი საგანძურის მოვლა-პატრონობის პროცედურებში ეკლესიის მონაწილეობას, დღესასწაულებზე, დროებით ეკლესიებში მათი დაბრუნების დაშვებას;

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისას სასულიერო აქტის მნიშვნელობის აღიარებას.

მთავრობა საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით კომპრომისზე წავიდა და დაუშვა: ჯარში, ციხეებსა და კლინიკებში მოძღვართა მსახურების ანაზღაურება;

სამუზეუმო ექსპონატების მოვლა-პატრონობაში სასულიერო წრის წარმომადგენელთა ჩართვა.

ხოლო არ გაითვალისწინა: საღვთო სჯულის სწავლების აღდგენის, ჩამორთმეული საეკლესიო ქონების გამოსყიდვის, სამოქალაქო რეგისტრაციის საკითხებში საეკლესიო ცერემონიისთვის მნიშვნელობის მინიჭების მოთხოვნები.

რაც შეეხება საქართველოში მიმდინარე სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის პროცესის მსგავსებასა და განსხვავებებს სეკულარიზმის ფრანგულ მოდელთან (1905 წ.), მათ შორის საერთოა სახელმწიფოს მცდელობა, განესაზღვრა თავისი იურისდიქციის საზღვრები, ჩამოეყალიბებინა რელიგიური გაერთიანებებისადმი ნეიტრალური დამოკიდებულება [19; 20, 82-98]. საქართველოში საკითხზე მსჯელობის შედეგები აისახა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის 24-მუხლიან კანონპროექტში.

მიუხედავად მსგავსებისა, ამ ორი სისტემის ისტორიული საფუძვლები განსხვავებულია. საფრანგეთში ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევება მოხდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაპირისპირების შედეგად [20, 15-42]. საქართველოში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ისტორიულ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია; მეტიც, საარქივო დოკუმენტები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდშიც კი ხელისუფალთა მხრიდან ეკლესიისადმი კეთილგანწყობის არაერთ მაგალითს ასახავენ.

რეფორმების განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს ასევე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი

სისუსტე, რელიგიური განათლების ისტორიული როლი და ეროვნული თვითმყოფადობის საკითხებთან ეკლესიის მჭიდრო კავშირი.

რადგან საფრანგეთში 1905 წლის კანონის მიღებას წინ უძღოდა ხანგრძლივი ანტიკლერიკალური მოძრაობები, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დაპირისპირება, აღნიშნული კანონი ხანგრძლივი პროცესის ლოგიკური შედეგი იყო. მასთან შედარებით, საქართველოში სახელმწიფოს მიერ გატარებული თუ დაგეგმილი რეფორმები ნაკლებად მომზადებული აღმოჩნდა.

1918-1921 წლებში საქართველოში მიმდინარე სეკულარიზაციის პროცესთან დაკავშირებით ვერ დავეთანხმები აზრს, რომ საბჭოთა ანექსიის შემდეგ ოკუპაციურ ძალებს ფაქტობრივად „მიწასთან გასწორებული რელიგიური გარემო" დახვდათ და მათ ეკლესიის წინააღმდეგ მხოლოდ იდეოლოგიური ბრძოლა და ფიზიკური განადგურება ჰქონდათ დარჩენილი"; ან რომ „ჩვენმა სოციალისტურმა მთავრობამ გამოუცხადა სამშობლო ეკლესიას სამკვდრო-სასიცოცხლო ომი"... [18, 94; 10, 78].

იმ სოციალურ-კულტურული პროცესების გათვალისწინებით, რომლებიც 1918-1921 წლებში ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობაში მიმდინარეობდა, ვფიქრობ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ სეკულარიზაციის გზაზე გადადგმული ნაბიჯები ანტიეკლესიურ კამპანიად არ უნდა ჩაითვალოს. მას საფუძვლად დაედო ევროპული ტიპის სახელმწიფოებრივი პრინციპები – რელიგიის გამოცხადება კერძო საქმედ, ეკლესიისა – მხოლოდ სულიერ და კულტურულ ძალად, კონფესიათა თანასწორობა და ეკლესიის ინსტიტუციური განცალკევება სახელმწიფოსგან. საარქივო დოკუმენტები და პრესა ასახავს რეფორმების გატარებასთან დაკავშირებულ დიდ სირთულეებს, თუმცა ეს პროცესი მაინც გარდამავალი, დაუსრულებელი იყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სეკულარიზაციის პოლიტიკას არ ჰქონდა საყოველთაო მხარდაჭერა. მიწების, სასწავლებლების, შენობა-ნაგებობის, განძეულობის სრულად ჩამორთმევა არ განხორციელებულა.

1921 წელს სეკულარიზაცია კონსტიტუციურად გაფორმდა, მაგ-

რამ სახელმწიფოში ეკლესიის მდგომარეობის სრული სურათი ჩამოუყალიბებელი დარჩა. ამას ხელი შეუშალა რუსეთის მხრიდან ქვეყნის ოკუპაციამ და ანექსიამ 1921 წლის თებერვალში. პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში საბოლოო, ნაჩქარევი გადაწყვეტილება აისახა, ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია ვივარაუდოთ, როგორი ურთიერთობა ჩამოყალიბდებოდა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის განხილვების ლოგიკურად დასრულების პირობებში. დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდან ეკლესიის მიმართ ჩადენილი ქმედებები უფერულდება საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების შემდეგ მომხდარი მოვლენების ფონზე.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:


1. ვახტანგ სონღულაშვილი, სახელმწიფოსა და ეკლესიის სამართლებრივი ურთიერთობა XI-XII საუკუნეების საქართველოში, 2016.
2. მარიამ ბეგაძე, სეკულარიზმი: სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ჩარჩო, ჟურნალი საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, N10, 2017.
3. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 3.
4. დოდო ჭუმბურიძე, განათლება 1918-1921 წლებში, თბილისი, 2000.
5. ნატო სონღულაშვილი, საგანმანათლებლო სისტემა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921), თბილისი, 2021.
6. ლეონიდე ოქროპირიძე, წერილები ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ, წიგნში: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები 1917-1927 წწ-ში, წერილები, თბილისი, 2010.
7. საქართველოს კონსტიტუცია 1921, ბათუმი, 1921.
8. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 659.
9. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 647.
10. იმერი ბასილაძე, სულხან კუპრაშვილი, „საღვთო სჯულის“ სწავლების საკითხისათვის 1918-1921 წლების საქართველოში, წიგნში: ჩვენი სულიერების ბალავარი XI, ბათუმი, 2019.
11. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 665.
12. გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1918 წ. 25.07. N1

13. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 343.
14. ირინა არაბიძე, აგრარული რეფორმის ასახვა საქართველოს ეკლესია-მონასტრების მდგომარეობაზე (1917-1920 წწ.) – კრებული ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბილისი, 1(18) 2016.
15. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 6676.
16. ჯაბა სამუშია, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა 1918-1921 წლებში, ისტორიანი N89.
17. გაზ. საქართველო, 15.02.1920, N35.
18. დიმიტრი გეგენავა, ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი მოდელები და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება, 2018.
19. Loi du 9 décembre 1905, https://www.legifrance.gouv.fr/loda/id/JORFTEXT000000508749/
20. Jean Baubérot-Vincent, Histoire la laïcité en France, Paris, 2007.

**Irina arabidze**

Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History

## The Search for a Model of Church-State Separation in the Democratic Republic of Georgia (1918-1921)

Summary

In the Democratic Republic of Georgia, the relationship between the state and the church was a subject of multifaceted discussion.

The material is preserved in abundance in the funds of the Patriarchate and the National Archives, in magazines and newspapers of the time.

Against the background of secularization and other related reforms initiated in the Democratic Republic, confrontation between the government and the church was not a rare occurrence (the confiscation of lands, buildings,

historical and spiritual heritage treasures, the removal of the teaching of the Holy Law from the secular curriculum).

Nevertheless, contemporary sources also indicate that secular authorities acknowledged and respected the cultural and historical significance of the church.

This period represented a kind of transitional phase – the church sought to defend its historical rights, while the state was engaged in building a new democratic and secular order.

The process of separation of church and state was still under discussion and was not completed due to the occupation of the Democratic Republic of Georgia by Russia. It is unknown how events would have developed had secularization been logically completed.

The hastily adopted constitution of February 21, 1921, legalized the separation of church and state and strictly defined the principles of religious freedom and equality of citizens. The constitution prohibited the privileging of any faith and the allocation of state budget funds for religious purposes.

Taking into account the processes that took place in state-confessional relations in 1918-1921, I believe that the steps taken by the government of the Democratic Republic of Georgia in relation to secularisation should not be considered an anti-church campaign. It was based on the principles of a European-style state structure: the declaration of religion as a private matter, the equality of confessions, and the institutional separation of church and state.

This topic is not only of historical significance, but also offers valuable insight into how the role of the church in the cultural development of society was perceived at the time.

Moreover, it provides a foundation for reflecting on how historical experience can inform the formation of a just and democratic society.

I used historical-critical analysis, normative analysis, and a comparative approach to study the issue. The study of legal documents and projects related to the issue raised in the article will help us to understand the political model of the democratic republic more deeply, to evaluate the constitutional heritage, to review the history of the development of the principles of secularism and religious freedom, and to review the ways of forming national self-consciousness and state visions.